N 17
08.10.2024

17-27-4-202410081651

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დ ე კ ა ნ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფაკულტეტის საბჭოს რიგგარეშე არჩევნების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21 –ე მუხლის მე– 6 პუნქტის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით 2014 წლის 26 ივნისის N3; სხდომის ოქმით დამტკიცებული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების მე–6 მუხლის მე–14 პუნქტის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 24 სექტემბრის N10 ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 24 სექტემბრის სხდომის გადაწყვეტილებით (2024 წლის 24 სექტემბრის ოქმი N10) თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ვაკანტურ ადგილებზე გამოცხადებული არჩევნების ჩატარების განრიგი:

   - აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - 1 ადგილი
   2024 წლის 16 ოქტომბერი, თსუ მე–5 კორპუსი, 16 სთ., ოთახი N 114.

   - ამერიკისმცოდნეობის სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტი - 1 ადგილი
   2024 წლის 10 ოქტომბერი, თსუ მე–2 კორპუსი, 12 სთ., ოთახი N 152.

- თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - 1 ადგილი

2024 წლის 15 ოქტომბერი, თსუ მე–8 კორპუსი, 14 სთ., ოთახი N 226.

- სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - 1 ადგილი

2024 წლის 16 ოქტომბერი, თსუ მე–8 კორპუსი, 17 სთ., ოთახი N 232.

- ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - 1 ადგილი

2024 წლის 10 ოქტომბერი, თსუ მე–8 კორპუსი, 14 სთ., ოთახი N 216.

- თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი - 1 ადგილი

2024 წლის 15 ოქტომბერი, თსუ მე–5 კორპუსი, 16 სთ., ოთახი N 317.

2. არჩევნების ჩასატარებლად დამტკიცდეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   1. თინათინ ჩოლოყაშვილი – – ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის თავმჯდომარე.
   2. გიორგი კუკულავა - ფაკულტეტსი რესურსების სამსახურის უფროსი.
   3. ანი ბანეთიშვილი – ფაკულტეტის კანცელარიის მთავარი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).

3. ბრძანების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დარეჯან თვალთვაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი